№ 120 20 თიბათვე, სამშაბათი 1866—1878 20 თიბათვე, სამშაბათი № 120

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

**მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს**

## „დროებაზე“

**ფასი ნახევარი წლის გაზეთისა** (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

**ხელის-მოწერა მიიღება:** ტფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

**უმორჩილესად ვთხოვთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მარტო ნახევარი წლის გაზეთის ფული აქვთ შემოტანილი, რომ, თუ ჰსურთ გაზეთი თავის დროზე და დაუბრკოლებლივ მიიღონ, რაც შეიძლება დაუჩქარონ დანარჩენი (მეორე ნახევარის) ფულის შემოტანას.**

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ბერლინი, 17 ივნისს.** ოსმალეთს მიეცა უფლება, რომ გაამაგროს ბალკანის მთებზედ გადასასვლელი გზები. ოსმალეთს დანიშნული ექნება ალმოსავლეთ ბოლგარიაში რამდენიმე ალაგი, სადაც ის ააშენებს ყაზარმებს და შეუძლიან თავის ჯარი დააყენოს; მაგრამ იმას არ შეუძლიან, რომ ერთი სალდათიც არის ჩააყენოს რომელიმე მცხოვრების ოჯახში. თუ ვინიცობაა ბოლგარიის სამთავროში დაყენებულ ოსმალოს ჯარსა და იქაურ ევროპის კონსულებს შუა რაიმე უკმაყოფილება მოხდა, კონსულებმა ეს უკმაყოფილება ჯერ ხსენებული ოსმალოს ჯარის უფროსს უნდა გამოუცხადონ და თუ იმისაგან ვერ დაკმაყოფილდნენ, მერე ელჩებს უნდა გამოუცხადონ სტამბოლში.

**სტამბოლი, 18 ივნისს.** გასულ ხუთშაბათს აქ იყო რჩევა ოსმალეთის მინისტრებისა და წარჩინებული პირებისა; მოილაპარაკეს იმაზედ, რომ ავსტრიას ჰსურს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დაჭერა თავის ჯარებითა. რჩევამ გადასწყვიტა, ბერლინში მყოფმა ოსმალოს დელეგატებმა შეატყობინონ კონგრესს, რომ ოსმალეთი ვერ დათანხმდება ავსტრიისაგან ხსენებულ პროვინციების დაჭერაზედ, რადგან ამ ომიანობის დროს ეს პროვინციები მტრის ჯარებით არ იყვნენ დაჭერილნი.

**ვენა, 17 ივნისს.** სტამბოლიდამ იწერებიან „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“: ავსტრიის სტამბოლელ ელჩმა ზიჩიმ გამოუცხადა ოსმალეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს სავფეტ-ფაშას, რომ ავსტრია მხოლოდ დროებით დაიჭერს ბოსნიას თავის ჯარებითა და ისიც იმ განზრახვით, რომ ბოსნიიდამ გაქცეულ ხალხს თავის ქვეყანაში დაბრუნება გაუადვილოს.

# საქართველო

### ჩვენი სოფლის სასამართლოები

ცხადათ დამტკიცებულია ახლა, რომ ის სამწუხარო შემთხვევა, რომელიც ამ ივნისის 4-ს მოხდა ქიზიყში, მოხდა ადგილობრივი მამასახლისების წყალობით, მოხდა იმიტომ, რომ ეს მამასახლისები და საზოგადოთ სოფლის უფლების-მქონი პირები ერთობ აწუხებდნენ, ერთობ უკანონოთ ექცეოდნენ ხალხსა.

ისე ნომერი არ გამოდის თითქმის ადგილობრივი გაზეთისა, რომ ჩვენი ქვეყნის ხან ერთისა და ხან მეორე მხრიდამ არ მოვიდეს საჩივარი მამასახლისებზე, სოფლის მოსამართლეებზე და გზირებზე, რომ გვცარცვენ, ბატონო, უკანასკნელ სულს გვაძრობენ, სახლში და გარეთ არა დაგვიტოვეს რა, ჩვენის ოფლითა მდიდრდებიან და ჩვენ პერანგისამარა დავრჩენილვართო და სხვ. და სხვ.

ისმის ამგვარი საჩივარი და ჩვენც ვაცხადებთ, ჩვენც ვბეჭდავთ, ჩვენც თანაუგრძნობთ...

ვეტყვიან—თვითონ ხალხია დამნაშავე, თუ ცუდი სოფლის მოხელეები ჰყავსო, რადგან ამ მოხელეებს თვითონ არჩევსო!

ეს შემცდარი ჰაზრია. მართლა, კანონით, მამასახლისები და მოსამართლეები სოფელმა, საზოგადოებამ უნდა ამოარჩიოს; მაგრამ ვინ არ იცის, რომ ნამდვილად ეს ძალიან ხშირად ასე არ ხდება, რომ ხალხი ხშირად ამ შემთხვევაში დაბალი ადმინისტრაციის ანუ გავლენიანი თავადისა და აზნაურის ბრძანებას ემორჩილება და იმათის ბრძანებისა-დაგვარად ამოარჩევს ხოლმე თავის მოხელე პირებს!

გაზეთს „კავკაზში“ იყო ამას წინათ დაბეჭდილი ვრცელი სტატია ამ საგნის თაობაზედ, რომლის ავტორს მოჰყავდა რამდენიმე მაგალითი, რომ სოფლებში დაბალი ადმინისტრაციის გავლენითა და ბრძანებით ამოარჩიეს მამასახლისებად და სუდიებათ ისეთი პირები, რომელნიც საზოგადოებას არ უნდოდა.

ამისთანა მაგალითები ჩვენს გაზეთშიაც არა-ერთხელ იყო მოყვანილი.

რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარის წესით ამორჩეული პირები სრულებით არ მოერიდებიან სოფელს, სრულებით არ ეცდებიან, რომ თავიანთ კეთილ-სინიდისიანის მოქმედებით დაიმსახურონ სოფლის მადლობა. სოფლისაგან არ არიან დანიშნულნი და ვისი წყალობითაც მიიღეს თანამდებობა, ყოველთვის და ყველასაგან ის დაიცავს იმათა.

ორს უმთავრესს საშუალებას ვხედავთ ჩვენ, რომ სოფელი ამგვარის ხალხისაგან დაცული იქმნეს:

1) რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სრულად აიღოს ხელი სოფლის მოხელე პირების არჩევაში მონაწილეობის მიღებაზედ და

2) რომ სასოფლო შკოლების მასწავლებლებმა და მღდლებმა ურჩიონ, უქადაგონ და უხელმძღვანელონ ხალხს როგორც ამ არჩევანის დროს, აგრეთვე სხვა ყველა საზოგადო საქმეებში.

კარგს, პატიოსანს სოფლის მასწავლებელს და მღვდელს ბევრი, განუსაზღვრელი სარგებლობის მოტანა შეუძლიან სოფლისათვის სხვათა შორის იმიტომ, რომ ისინი მხოლოთ ორნი ისეთი პირნი არიან სოფელში, რომელთაც რაიმე გაეგებათ ქვეყნიერებისა და რომელთაც სოფელი გონიერს სიტყვას ყოველთვის დაუჯერებს...

**ს. მ.**

## დღიური

** ჩვენ შევიტყეთ, რომ შიდლოვსკის გალისაგან ძალად თავის-დარჩობის თაობაზედ გამოძიება არის დანიშნული.

ჩვენ გვითხრეს აგრეთვე, გავრცელებული იყო ხმაო, ვითომც ამ ქალს „შეცოდება“ გამოაჩნდაო და იმიტომ დაირჩო ძალათ თავიო; მაგრამ ექიმებს გაუჩრიათ და დარწმუნებულან, რომ ის სრულიად უმანკო ყოფილა.

** შევახსენებთ ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებს, რომ, ქალაქის რჩევის გადაწყვეტილებით, დღევანდელი დღიდამ, ე. ი. 20 ივნისიდამ, ბირჟის ფაიტონებისა და დროჟკების ფასი იგივეა, რაც ომიანობამდინ იყო: ფაეტონისთვის ერთი გზობა—ექვსი შაური და დროჟკისთვის—აბაზი.

** ბაქოს გაზეთში დაბეჭდილია პეტერბურღიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომ მთავრობამ დაამტკიცაო ბაქოდამ ნავთის წყაროებამდინ რკინის გზის რტოს გაყვანაო.

** ქიზიყის სოფ. მალაროდამ გვწერენ, რომ ამ თვის 16-ს იქ ყოფილა დანიშნული კენჭის-ყრა მილიციაში გასაყვან ხალხისა. თუმცა ხალხში გავრცელებული ყოფილა ხმა, რომ ეს „ლეკრუტობა“ არისო, მაგრამ აუხსნიათ იმათთვის, რომ მხოლოთ დროებით მიჰყავთ ისინი, რომ გათავდება თუარა ომის შიში, იმ წამსვე შინ გაუშვებენ. ამის გამო ხალხი ხმა-ამოუღებლად დათანხმებულა მმართებლობის ბრძანებაზედ და კენჭის-ყრა მშვიდობით, წესიერად გათავებულა.

** შურაპნის უეზდის სოფელ საზანოდამ დიდ შეწუხებას გვწერენ ადგილობრივის მამასახლისისაგან; ჯერ ქალაქის ახლო-მახლო სოფლის საზოგადოებებსაც კი სული ამოაძვრეს მამასახლისებმა და საზოგადოთ სოფლის მოხელეებმა და ჩვენისთანა მიყრუებულ, მოშორებულ ადგილებში ხომ იმათ არავის არ ეშინიანთ, რაც უნდათ, იმას სჩადიანო. თუ კარგათ არ გაუმასპინძლდით, ან თუ ხუთი-ექვსი მანეთი ქრთამი არ მიეცით, რაც უნდა უბრალო და სამართლიანი საქმე გქონდესთ, უეჭველად უნდა იცოდეთო, რომ გაგამტყუნებენო.

** ამ მოკლე ხანში ინჟენერ-პოლკოვნიკმა სტატკოვსკიმ დაბეჭდა პეტერბურღში ერთი წიგნი, „О пытъ климатологіи Кавказа“, რომელშიაც ქართველ მუშა ხალხზე, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია ნათქვამი:

„ადგილობრივი მუშა-ხალხი ყოველთვის ბეჯითად და რიგიანათ ასრულებს თავის მოვალეობას; ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ რკინის გზის ქართველი მუშები და კონდუქტორები. რომელთაც თავის მთავრობა ძალიან ემადლიერება. მართალია, ქართველებს იმდენი მუშაობა არ შეუძლიან, რამდენსაც ჩრდილოეთის ხალხი მუშაობს, მაგრამ მაგიერად რასაც გააკეთებს, კარგათ და ბეჯითად გააკეთებს. ამას გარდა ერთი უპირატესობა აქაური მუშებისა კიდევ ის არის, რომ ისინი მუდამ ფხიზელნი არიან, თავის დღეში არ თვრებიან, რადგან არაყს არა სომენ.“

** ჩვენ შევიტყეთ, რომ ანდრიევსკის ქალის საქმე თფილისის სამოსამართლო პალატაში მომავალ აგვისტოს თვის დამლევს იქნება დანიშნულიო. როგორც მოგეხსენებათ, ოლქის სასამართლოს პროკურორმა პროტესტი შეიტანა პალატაში უნცროსი ჩქოტუის (ნიკოლოზის) გამართლებაზედ.

ამბობენ, რომ ჩქოტუებს დაიცავს პალატაში გამოჩენილი პეტერბურღის ადვოკატი უფ. სპასოვიჩი.

** ჩვენ მოვიხსენიეთ ამას წინათ თ. რაფ. ერისთვის სტატია ჩვენი მხრის ღვინის თაობაზე, რომელიც კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ჟურნალის უკანასკნელ ნომერში იყო დაბეჭდილი. მოგვყავს ზოგიერთი უფრო საინტერესო ცნობა და ავტორის მოსაზრება ამ სტატიიდამ:

თ. რაფიელ ერისთვის დაახლოებულს გამოანგარიშებით კავკასიაში მუდამ წელს მოჰყავთ ხუთი მილიონი ვედრა ღვინო ანუ ათასი მილიონი ბოთლი. აქედამ მხოლოდ მცირედი ნაწილი იგზავნება რუსეთში და სხვაგან, დანარჩენს სულ თვითონ მწარმოებლები, თვითონ ქართლის ხალხი სვამსო.

ყველაზე უფრო ღვინის ვაჭრობას-ავტორის ჰაზრით, სირაჯები აბრკოლებენ; ესენი მიდიან სოფლებში, წინათვე ჰყიდულობენ, რასაკვირველია, მეხუთედ ფასად წლის მოსავალ ღვინოს, მერე ჩამოაქვთ ქალაქში და ჰყიდიან. ამნაირად თვითონ მემამულეები იმის მეათედ სარგებლობასაც ვერ ხედვენ თავის ღვინისაგან, რის გამოტანაც შეეძლოთ თუ თვითონ ევაჭრათ ღვინითაო.

ამის გამო თ. რაფ. ერისთავი ურჩევს ჩვენებურ მემამულეებს, რომ ერთად შეიყარნონ, შეადგინონ რიგიანს წესზე კამპანია, გახსნან თფილისში და სხვა ქალაქებში ღვინის სარდაფები და თვითონ ივაჭრონ, სირაჯები მოიშორონ თავიდამ.

ამასთანავე ის ამბობს, რომ თუმცა ჩვენი ღვინო ბუნებითი საუკეთესო ღვინო არისო, მაგრამ საუბედუროთ, ჩვე-

## ფელტონი

### საათნავა და მის თანამედროვე მელექსეები *)

(დასასრული)

ერთხელ მეფეს სპარსეთის ყეენისაგან შიკრიკი მოსულია, სპარსეთიდამ ყეენი წამოსვლას აპირებსო და შენც მოემზადე საომრადაო. ამ ამბავზე მეფე ძალიან დაღონებულა. ამბობენ, ეს დაღონება რომ საათნავას შეუტყვია, მაშინათვე ამდგარა და წასულა მეფესთან. შესულა თუ არა სასახლის კარებში, დაუკრამს სალამური და დაუმღერია შემდეგი ლექსი, რომელშიაც ალეგორიით გამოუხატამს მეფე ერეკლე (მტკვარი) ნაღვლიანის სახით და მისი მოსამზღვარე სპარსეთი—მდ. არაზი (არაქსი):

მტკვარო ამღვრეულო, არაზიანო!
მე შენ ვერ გაგიძლებ, მიზეზიანო,
დიბის ლობდანო გაზაზიანო,
სირმა-აბრეშუმო ყაზაზიანო;
ხმლითა და ხანჯლით ლამაზიანო,
მე რა მაბადია, რა მაზიანო?
მოდი, მიამბე, ბაღდადის წერო!

—

ინდოეთის თუთივით იმღერო,
რა იქნება ერთხელ მეც დამიჯერო
ფაჰრდის ბებერო, შირინის მტერო,
შე ავო მიჯნურო, არაზიანო!
მტკვარო ამღვრეულო არაზიანო,
ვაი თუ ერთ რიგი ნარდი გასწიო,
მარდი მოჰკლა, ნამარდი გასწიო!

—

ბულბული ატირო, ვარდი გასწიო
ნეტავ რომელი დარდი გასწიო,
ბეჩავ საწყალო თავაზიანო,
მტკვარო ამღვრეულო არაზიანო!

—

საათნავას ცოლი შეურთავს, ერთი ჰავლაბრელი ქალი მარიამა, სამი შვილი ჰყოლია და შემდეგ ცოლი მოჰკვდომია. ცოლის სიკვდილის შემდეგ ახპატის მონასტერში ბერათ შესულა. მეფე ერეკლე თურმე ძალიან უშლიდა ბერობას, მაგრამ იმას მაინც არ დაუშლია და შესულა.

მონასტერში ბერები თურმე ძალიან ეჩხუბებოდნენ: ლექსების წერას თავი დაანებეო, შენი საქმე არ არის, ხელი აიღეო. მარამ იმას არ დაუშლია და ისევ ბერობა დაუტოვებია და წამოსულა ქალაქში. მაგრამ რადგან მეფე ერეკლე იმაზე გამწყრალი ყოფილა, მისვლა ვერ გაუბედვნია.

*) „დროება“, № 119.

